I

ტესტი გეოგრაფიაში

2014

ინსტრუქცია

თქვენ წინაშეა საგამოცდო ტესტის ბუკლეტი, რუკა და ამ ტესტის პასუხების ფურცელი.

გაითვალისწინეთ, გასწორდება მხოლოდ პასუხების ფურცელი!

პასუხების ფურცლის გაკეცვა დაუშვებელია!

ყურადღებით გაეცანით ტესტის ყოველი დავალების ინსტრუქციას, კარგად გაიაზრეთ თითოეული დავალების მოთხოვნა და შემდეგ დაიწყეთ მუშაობა. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცლის შესაბამის ადგილზე. პასუხების ფურცელში არ შეიძლება გაკეთდეს ზედმეტი სახის მინაწერები (სახელი, გვარი ან რაიმე სახის სხვა აღნიშვნა). ნაშრომები, რომელშიც იქნება მსგავსი აღნიშვნები, არ გასწორდება!

ტესტზე მუშაობისას შეგიძლიათ გამოიყენოთ მოცემული საქართველოსა და მსოფლიოს ფიზიკური რუკები.

წერეთ გარკვევით და იმყოფინეთ პასუხებისათვის განკუთვნილი ადგილები.

ყოველ შეკითხვას გაეცით კონკრეტული და ამომწურავი პასუხი.

შავი სამუშაოსათვის შეგიძლიათ გამოიყენოთ ტექსტში არსებული ცარიელი ადგილები.

ტესტის მაქსიმალური ქულაა - 70

ტესტზე სამუშაოდ გეძლევათ 3 საათი.

გისურვებთ წარმატებას!

654006

- *კითხვა არჩევითი პასუხებით*

ინსტრუქცია

თითოეულ კითხვაზე მოცემულია ოთხი პასუხი. მათგან მხოლოდ ერთია სწორი. თქვენ მიერ არჩეული პასუხის სწორად მონიშვნის ერთადერთი გზა პასუხების ფურცლის სათანადო უჯრაში X ნიშნის დასმაა. თითოეული დავალება ფასდება 1 ქულით.

1. **რუკიდან გამომდინარე, რომელი მუნიციპალიტეტის სოფლის მეურნეობაში უჭირავს უფრო მნიშვნელოვანი ადგილი მევენახეობას?**



ა. მარტვილის
ბ. ხობის
გ. აბაშის
დ. ზუგდიდის

2. **რომელ ჩამონათვალშია დალაგებული დასახლებული პუნქტები ატმოსფერული ნალექების რაოდენობის ზრდის მიხედვით?**



ა. ჯავა, ყორნისი, ცხინვალი, ქარელი
ბ. ქარელი, ცხინვალი, ყორნისი, ჯავა
გ. ქარელი, ყორნისი, ცხინვალი, ჯავა
დ. ჯავა, ცხინვალი, ყორნისი, ქარელი

3. **რომელი ქალაქის ჰაერის საშუალო თვიური ტემპერატურის წლიურ მსვლელობას ასახავს გრაფიკი?**



ა. მესტიის
ბ. ახალციხის
გ. სიღნაღის
დ.სოხუმის

654006

4. რას უდრის საქართველოს სავაჭრო ბალანსი[1] სომხეთთან?



ა. 59 მლნ. აშშ დოლარს
ბ. 164 მლნ. აშშ დოლარს
გ. 223 მლნ. აშშ დოლარს
დ. 282 მლნ. აშშ დოლარს

5. საქართველოს რომელი რეგიონის მოსახლეობის ეროვნული სტრუქტურაა მოცემული წრიულ დიაგრამაზე?



ა. სამცხე-ჯავახეთის
ბ. შიდა ქართლის
გ. ქვემო ქართლის
დ. კახეთის

[1] სხვაობა ქვეყანაში შემოტანილ და გატანილ პროდუქციის ღირებულებას შორის.

654006

6. **რომელი რეგიონია უფრო მჭიდროდ დასახლებული?**



ა. გურია
ბ. აჭარა
გ. რაჭა
დ. შიდა ქართლი

7. **რომელ რიცხვით მასშტაბს შეესაბამება მოცემული ხაზოვანი მასშტაბი?**



ა. 1 : 500 000
ბ. 1 :150 000
გ. 1 : 50 000
დ.1 : 500

8. **ცხრილში მოცემული სტატისტიკური ინფორმაციიდან გამომდინარე, რომელი მტკიცებულებაა მართებული?**

მოსახლეობის ზრდის ტემპი	-0.327%
შობადობა	10.75‰
მოკვდაობა	10.05‰
მიგრაცია	-3.96‰

ა. ადგილი აქვს მოსახლეობის ზრდას
ბ. ადგილი აქვს მოსახლეობის ბუნებრივ კლებას
გ. ემიგრანტების რაოდენობა აღემატება იმიგრანტების რაოდენობას
დ. მოსახლეობის რაოდენობა არ იცვლება

9. ცხრილიდან გამომდინარე რომელი დასახლებული პუნქტი შეესაბამება სასოფლო ტიპის დასახლებას?

დასახლებული პუნქტი	მოსახლეობა	მოსახლეობის დასაქმების სტრუქტურა			
		მრეწველობა	მომსახურების სფერო	სოფლის მეურნეობა	დაუსაქმებელი მოსახლეობა
A	100 000	30%	40%	—	30%
B	8 000	20%	15%	45%	20%
C	3 000	25%	30%	25%	20%
D	2 500	30%	10%	35%	25%

ა. A
ბ. B
გ. C
დ. D

10. რელიეფის რომელი ტიპია დაკავშირებული თანამედროვე მყინვარების მოქმედებასთან?

ა. გლაციალური
ბ. კარსტული
გ. ეროზიული
დ.დენუდაციური

11. რომელი ოროგრაფიული ერთეული მიეკუთვნება კავკასიონს?

ა. რაჭის ქვაბული
ბ. იმერეთის მაღლობი
გ. ივრის ზეგანი
დ. ახალქალაქის პლატო

12. ჩამოთვლილთაგან რომელი ტბა მდებარეობს ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა?

ა. ფარავანი
ბ. პალიასტომი
გ. ჯანდარი
დ. კუმისი

13. რომელი მდინარის მყარ ნატანს აქვს ბათუმის პლაჟის ფორმირებაში დიდი მნიშვნელობა?

ა. რიონის
ბ. ჭოროხის
გ. კინტრიშის
დ. ხობისწყლის

14. რომელი მდინარე წარმოიქმნება მდ. თუშეთის ალაზნისა და მდ. პირიქითის ალაზნის შეერთებით?

ა. ანდის ყოისუ
ბ. ასა
გ. ავარიის ყოისუ
დ. არღუნი

15. რომელია სახნავი მიწებით უფრო ღარიბი რეგიონი?

ა. კახეთი
ბ. ქვემო ქართლი
გ. სამცხე-ჯავახეთი
დ. აჭარა

16. რა ითვლება კახეთის რეგიონის სოფლის მეურნეობისათვის მთავარ საფრთხედ?

ა. ზვავი
ბ. სეტყვა
გ. ღვარცოფი
დ. მეწყერი

17. ძირითადად რომელი რეგიონისთვისაა დამახასიათებელი წითელმიწები?

ა. აჭარის
ბ. ქვემო ქართლის
გ. რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის
დ. კახეთის

18. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის მიზანია: ევროპაში ადამიანის უფლებების და თავისუფლების დაცვა და ჰუმანიტარულ საკითხებში თანამშრომლობა?

ა. ევროპის საბჭოს
ბ. შავი ზღვის ქვეყნების ეკონომიკური თანამეგობრობის
გ. ევროპის კავშირის
დ. ჩრდილოეთ ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის

19. რომელ რეგიონზე მოდის საქართველოს ფეროშენადნობთა ექსპორტის უფრო მეტი წილი?

ა. იმერეთის
ბ. შიდა ქართლის
გ. სამცხე- ჯავახეთის
დ. ქვემო ქართლის

20. რომელი რეგიონი გამოირჩევა ფერადი ლითონების მოპოვებით?

ა. იმერეთი
ბ. შიდა ქართლი
გ. სამცხე-ჯავახეთი
დ. ქვემო ქართლი

21. რომელი სასარგებლო წიაღისეულის ღია წესით მოპოვებამ გამოიწვია რამდენიმე ასეული ჰექტარი ნაყოფიერი სასოფლო-სამეურნეო სავარგულის დეგრადაცია?

ა. ჭიათურის მანგანუმის
ბ. ახალციხის მურა ნახშირის
გ. ცანის დარიშხანის
დ. შქმერის კირქვის

22. რომელ რეგიონში მდებარეობს კურორტი ბახმარო?

ა. გურიაში
ბ. აჭარაში
გ. მცხეთა-მთიანეთში
დ. შიდა ქართლში

23. რომელი ხე-მცენარე ჭარბობს საქართველოს ტყეებში?

ა. წიფელი
ბ. მუხა
გ. წაბლი
დ. ევკალიპტი

24. რომელ ქედზეა ფართოდ გავრცელებული რელიეფის კარსტული ტიპი?

ა. სვანეთის
ბ. გომბორის
გ. ბზიფის
დ. ლიხის

- *შესაბამისობის დადგენა*

ინსტრუქცია
დაადგინეთ შესაბამისობა დავალებაში მოცემულ ორ ჩამონათვალს შორის. გაითვალისწინეთ, რომ შესაძლებელია პასუხის გამეორება. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში მოცემულ ცხრილში, თითოეულ ასოს ქვემოთ მიუწერეთ შესაბამისი ციფრი. დავალების მაქსიმალური ქულაა 2.

25. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ რომ, შესაძლებელია პასუხის გამეორება):

	მწვერვალი		ქედი
ა	მ. ტინოვროსო	1	კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი
ბ	მ. ხიმსა	2	ბზიფის
გ	მ. დიკლოსმთა	3	სვანეთის
დ	მ. ლაჰილი	4	პირიქითას
ე	მ. უშბა		
ვ	მ. თებულოსმთა		
ზ	მ. შხარა		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

26. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ რომ, შესაძლებელია პასუხის გამეორება):

	სასარგებლო წიაღისეული		რეგიონი
ა	ტარიბანას ნავთობი	1	კახეთი
ბ	ჭიათურის მანგანუმი	2	ქვემო ქართლი
გ	ბაკურიანის ანდეზიტი	3	იმერეთი
დ	ახტალის სამკურნალო ტალახი	4	სამცხე-ჯავახეთი
ე	სალიეთის მარმარილო		
ვ	მადნეულის სპილენძ-ტყვია-თუთია		
ზ	ახალციხის მურა ნახშირი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

27. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	შენაკადი		მდინარე
ა	დებედა	1	ენგური
ბ	თეძამი	2	რიონი
გ	ნენსკრა	3	მტკვარი
დ	ტეხური	4	ხრამი
ე	ფარავანი		
ვ	ხანისწყალი		
ზ	მაშავერა		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

28. **დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):**

	ფოტო		ადგილმდებარეობა
ა		1	თბილისი
ბ		2	ფოთი
გ		3	გარდაბანი
დ		4	ჯვარი

ე		5	ბათუმი
ვ			
ზ			

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

29. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	სახელმწიფო		**მმართველობის ფორმა**
ა	ვატიკანი	1	კონსტიტუციური მონარქია
ბ	ქუვეითი	2	აბსოლუტური მონარქია
გ	ბრუნეი	3	თეოკრატიული მონარქია
დ	იაპონია	4	რესპუბლიკა
ე	ირლანდია		
ვ	შვედეთი		
ზ	ირანი		

ა	ბ	გ	დ	ე	ვ	ზ

30. დაადგინეთ შესაბამისობა (გაითვალისწინეთ, რომ პასუხის გამეორება შესაძლებელია):

	გეოგრაფიული ობიექტი		**კონტინენტი**
ა	ჩანჩქერი ანხელი	**1**	აფრიკა
ბ	ჩანჩქერი ვიქტორია	**2**	სამხრეთი ამერიკა
გ	ჩანჩქერი ნიაგარა	**3**	ჩრდილოეთი ამერიკა
დ	ჩადის ტბა	**4**	ანტარქტიდა
ე	ვულკანი ერებუსი		
ვ	გვიანის ზეგანი		
ზ	მისისიპის დაბლობი		

ა	**ბ**	**გ**	**დ**	**ე**	**ვ**	**ზ**

- *რუკის ანალიზი*

ინსტრუქცია

ყურადღებით შეისწავლეთ დავალებებში მოცემული რუკები (კონტურული, ფიზიკური და ტოპოგრაფიული) და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

31. (10) რუკის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:



654006

31.1. რომელ წრეში მდებარეობს ტერიტორია, სადაც დაცულია არიდული ნათელი ტყის კორომები?
31.2. რომელ წრეში მდებარეობს ტერიტორია, სადაც დაცულია კარსტული მღვიმეების კომპლექსი?
31.3. რომელ წრეში მდებარეობს კავკასიის ყველაზე ნალექიანი ადგილი?
31.4. რომელ წრეში მდებარეობს კავკასიაში შექმნილი პირველი დაცული ტერიტორია?
31.5. რომელ წრეში ექცევა ტერიტორია, სადაც საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ერთმანეთს ესაზღვრება?
31.6. რომელ წრეში მდებარეობს საქართველოს უღრმესი ტბა?
31.7. რომელ წრეში მდებარეობს მდ. რიონის სათავე?
31.8. რომელ წრეში მდებარეობს პირიქითას ქედი?
31.9. რომელ წრეში მდებარეობს საღამოს ტბა?
31.10. რომელ წრეში მდებარეობს მდინარეების ალაზნისა და იორის წყალგამყოფი ქედი?

	წრის ნომერი
31.1.	
31.2.	
31.3.	
31.4.	
31.5.	
31.6.	
31.7.	
31.8.	
31.9.	
31.10.	

32. (6) ტოპოგრაფიული რუკის გამოყენებით უპასუხეთ კითხვებს:

32.1. რომელი დასახლებული პუნქტი მდებარეობს სოფ. ბარეთიდან სამხრეთ-დასავლეთით?
ა. ლივადი
ბ. იმერა
გ. ბეშთაშენი
დ. ყარაკომი

32.2. ზღვის დონიდან დაახლოებით რამდენი მეტრია მ. ბარეთის სიმაღლე?
ა. 1520
ბ. 1620
გ. 1655
დ. 1668

32.3. (1) გამოჩნდება თუ არა A წერტილიდან სოფ. იმერა? პასუხი დაასაბუთეთ.

32.4. (3) ტურისტებმა B წერტილიდან მ. ლივადის დასალაშქრად I მარშრუტი აირჩიეს. შეადარეთ I და II მარშრუტი. მოიყვანეთ სამი მიზეზი, რის გამოც დაწუნებული იქნა II მარშრუტი.


A
B
I
II
1700
1650
1600
1756,1
1714,1
1715,2
1787,0
1729,4
1731,0
1732,0
1655,0
1603,9
1587,0
1611,6
1667,8
1826,4
1575,6
1604,1
1871,8
1644,6
1588,0
1538,8
1518,7
1789,0
1797,1
1821,2
1888,0
1736,0

პიროგითი აღნიშვნები

გეოდეზიური პუნქტები

1) სახელმწიფო გეოდეზიური ქსელის პუნქტები; 2) ასაგეგმი ქსელის წერტილები ადგილზე დამაგრებული ცენტრებით; 3) სახელმწიფო სანიველირო ქსელის რეპერები და მარკები

დასახლებული პუნქტები

1) შენობა-ნაგებობები; 2) გამორჩეული ცეცხლგამძლე შენობები; 3) ორიენტირის მნიშვნელობის მქონე დანგრეული და ნახევრად დანგრეული შენობები

მჭიდროდ განაშენიანებული კვარტლები ცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით:
1) მსხვილ ქალაქებში;
2) სხვა დასახლებულ პუნქტებში

მჭიდროდ განაშენიანებული კვარტლები არაცეცხლგამძლე ნაგებობების სიჭარბით:
1) მსხვილ ქალაქებში;
2) სხვა დასახლებულ პუნქტებში

კვარტლებისა და ქუჩების მჭიდროდ განაშენიანებული უბნები:
1) ქუჩები ჭეშმარიტი ზომით;
2) მაგისტრალური და მთავარი ქუჩები;
3) სხვა ქუჩები და გასასვლელები

1) მეჩხერად განაშენიანებული კვარტლები;
2) კვარტლები გაშრეებანი;
3) დანგრეული და ნახევრად დანგრეული კვარტლები სასოფლო და საგარაჯო ტიპის დასახლებებში

სამრეწველო და სოციალურ-კულტურული ობიექტები

1) სკოლები; 2) საავადმყოფოები;
3) ქარხნები, ფაბრიკები და წისქვილები მილის გარეშე

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ადგილები (კარიერები):
1) მინიმალური ზომის; 2) ჭეშმარიტი ზომის

1) რადიოსადგურები და ტელევიზიის ცენტრები;
2) სატელევიზიო ანძები

1) კოშკური ტიპის კაპიტალური შენობები (წყალსაწნეები კოშკურები და სხვა);
2) აეროპორტები და აეროდრომები

1) ეკლესიები, მონასტრები, ტაძრები
2) მეჩეთები; 3) სინაგოგები; 4) ცხელსიმაგრეები

1) კავშირგაბმულობის ხაზები (ტელეფონის, ტელეგრაფის, რადიოგადამცემი);
2) წყალქვეშა კავშირგაბმულობის ხაზები

შახტებისა და შტოლნების ჭაურების პირები: 1) მოქმედი; 2) უმოქმედო

1) მარილის ღია ნესით დამუშავება;
2) ტორფის დამუშავება

1) მეტეოროლოგიური სადგურები;
2) ძეგლები და მონუმენტები

სასაფლაოები:
1) ქრისტიანული;
2) მუსლიმანური;
3) ქრისტიანული და მუსლიმანური

ელექტროგადამცემი ხაზები (ეგხ)

გაზსადენები:
1) მინის ზედა;
2) მინის ქვეშა, წყალქვეშა

ნავთობსადენები:
1) მინის ზედა;
2) მინის ქვეშა, წყალქვეშა

1) ნავთობის, გაზის და სხვა ჭაბურღილები კოშკების გარეშე;
2) საწვავის საწყობები და გაზსაცავები;
3) ბენზინგასამართი სადგურები
4) გაზგასამართი სადგურები

ელექტროსადგურები:
ა) მინიმალური ზომის;
ბ) ჭეშმარიტი ზომის

ელექტროქვესადგურები:
ა) მინიმალური ზომის;
ბ) ჭეშმარიტი ზომის

1) კირის გამოსაწვავი და ხის ნახშირის მისაღები ღუმელები, რომლებსაც ორიენტირის მნიშვნელობა აქვს;
2) სათბურები, ორანჟერეები

დიუკერები წყალსადენის ხაზზე

ქვის, აგურის კედლები და რკინის ღობეები

უძველესი ისტორიული კედლები

დიუკერები ნავთობ და გაზსადენებზე

საავტომობილო გზები და რკინიგზები

1) ავტოტრანსპორტის სადგომები გაუმჯობესებულ საფარიან ავტომაგისტრალებზე და საავტომობილო გზებზე;
2) საავტომობილო გზების ნომრები

ავტომაგისტრალები (ავტობანები) ორ ზოლზე მეტი სავალი ნაწილით

ავტოგზა გაუმჯობესებული საფარით 2-ზე მეტი სავალი ნაწილით

საავტომობილო გზები საფარით (გზატკეცილები)

საავტომობილო გზები საფარის გარეშე (გაუმჯობესებული ყამირი გზები)

სასოფლო გზები (გრუნტის)

1) საველე და ტყის გზები;
2) საცალფეხო ბილიკები და ხიდები

რკინიგზები

დეპო, სადგურები, სადგურის ლიანდაგები, რომლებიც გამოისახებიან რუკის მასშტაბში

მეტროპოლიტენის სადგურები

1) ყრილი; 2) ჭრილები

მშენებარე გზები

გვირაბები:
1) მინიმალური ზომის
2) ჭეშმარიტი ზომის

ჰიდროგრაფია

1) ზღვის სანაპირო ხაზები: მდინარეების, ტბების, წყალსაცავების, მუდმივი და განსაზღვრული ნაპირის ხაზები;
2) ცვალებადი ნაპირის ხაზები;

მუდმივი მდინარეები და ნაკადულები:
1) ჩანჩქერები და ჭორომები;
2) მდინარეთა დინების მიმართულება და სიჩქარე მ/წამში

შრობადი მდინარეები და ნაკადულები

არხები და თხრილები:
3 მ-ზე ნაკლები სიგანის

3 -15 მ სიგანის

15 - 30 მ სიგანის

არხების მინისქვეშა მონაკვეთები:
1) 3 მ - ზე ნაკლები სიგანის
2) 3 -15 მ სიგანის
ა) მინიმალური ზომა;
ბ) ჭეშმარიტი ზომა

მშენებარე არხები:
1) 3 მ-ზე ნაკლები სიგანის

2) 3 -15 მეტრამდე სიგანის

სარწყავი არხები (არიკები) რკინაბეტონის ღარებში საყრდენებზე

მილები მინაყრილების ქვეშ

დამბები (ჯებირები)

ხიდები:
ა) მინიმალური ზომის
ბ) ჭეშმარიტი ზომის

აკვედუკები

ნყალსადენები:
1) მინის ზედა
2) მინისქვეშა

1) არტეზიული ჭები და ჭაბურღილები;
2) წყალსაცავები

1) წყაროები ;
2) კეთილმოწყობილი წყაროები

მშრალი თხრილები

კაშხლები: 1) სავალი;
2) არ ასავალი;
ა) მინიმალური ზომა;
I) წყლის წისქვილები და სამხერხაოები;
II) წყლის საზომი საგუშაგოები და ფუტშტოკები;
III) წყლის კიდეთა ნიშნულები

1) კეთილმოწყობილი ნავმისადგომები, რომლებიც გამოისახებიან რუკის მასშტაბში;
2) არაკეთილმოწყობილი ნავმისადგომები და სალუზე გაჩერებები
3) ქვით და რკინაბეტონით გამაგრებული ნაპირები;
4) საზღვაო ბორნები;
5) საბორნე გადასასვლელები მდინარეებზე;
6) მოლები და ნავმისადგომები;
7) შუქურები;
8) იზობათები;
8-1) იზობათები და მათი წარწერები;
9) სიღრმის ნიშნულები მეტრებში;
10) წყალქვეშა მეჩეჩი
11) წყალზედა მეჩეჩი

რელიეფი და მცენარეული საფარი

ა) ჰორიზონტალები:
ა-1 ძირითადი გამსხვილებული;
ა-2 ძირითადი;
ა-3 დამატებითი (ნახევარ-ჰორიზონტალები);
ა-4 დამხმარე (ნებისმიერ სიმაღლეზე);
ა-5 ღრმულები;
ა-6 წარწერები ჰორიზონტალებზე მეტრებში;
ბ-1 კლდეები;
ბ-2 ფლატეები;
ბ-3 ქვიანი მდინარეები;
ბ-4 მკვრივი ქანების ჩამონაშლები;
გ-1 ფირნული მინდვრების საზღვრები;
გ-2 მყინვარების რელიეფი;
გ-3 მორენები;

1) მშრალი კალაპოტები და დამშრალი ტბების ღრმულები;
2) კარსტული და თერმოკარსტული ძაბრები, რომლებიც არ გამოისახება რუკის მასშტაბში

1) სნორი ქვიშნარები;
2) ქვიანი ზედაპირები

1) ქვიანი და ღორღიანი ზედაპირები;
2) კოლობიანი ზედაპირები

1) კლდის ნარჩენები;
2) ცალკე მდგმარე ქვები

1) უღელტეხილები; 2) შესასვლელები გამოქვაბულებში და გროტები

1-123,4 2-54,0

1) სიმაღლეთა ნიშნულები მეტრებში;
2) ზღვის დონეზე დაბლა მდებარე წერტილების სიმაღლეთა ნიშნულები

მცენარეული საფარისა და გრუნტის საზღვრები

ტყის ვიწრო ზოლები და ქარსაცავები

ბუჩქების ვიწრო ზოლები და ცოცხალი ღობეები

ტყეში დომინანტი ხის ტიპები:
1) წიწვოვანი; 2) ფოთლოვანი;
3) შერეული

1) ორიენტირის მნიშვნელობის მქონე ცალკე მდგომი ხეები;
2) მეჩხერი ტყეები

1) ტყეები; 2) ბუჩქნარები

1) ხეხილისა და ციტრუსის ბაღები;
2) ვენახები

1) ტექნიკური კულტურების პლანტაციები;
2) ბრინჯის მინდვრები

1) სტეპის (ბალახოვანი) მცენარეულობა;
2) ლელქაშისა და ლერწმის რაყები

1) გაუვალი და ძნელად გასავლელი ჭაობები და ჭაობის მცენარეულობა;
2) გასავლელი მლაშობები

საზღვრები

სახელმწიფო საზღვარი

ავტონომიური რესპუბლიკების საზღვრები

დაცული ტერიტორიების საზღვრები

- *ინფორმაციის ტრანსფორმაცია*

ინსტრუქცია
ყურადღებით შეისწავლეთ დავალებაში მოცემული ინფორმაცია და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

33. (9) მოცემული სტატისტიკური ინფორმაციის საფუძველზე უპასუხეთ კითხვებს.

საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის სტატისტიკური მონაცემები:

მშპ-ს სტრუქტურა

	მშპ (მილიარდი აშშ დოლარი)	მშპ-ს პროცენტული განაწილება ეკენომიკის სექტორების მიხედვით		
		სოფლის მეურნეობა	მრეწველობა	მომსახურება
საქართველო	26.52	8.3%	23.7%	68%
სომხეთი	18.95	19.2%	40.8%	40%
აზერბაიჯანი	98.16	5.8%	59.5%	34.7%

დასაქმების სტრუქტურა

	დასაქმებულთა რაოდენობა (მილიონი კაცი)	დასაქმებულთა პროცენტული განაწილება ეკონომიკის სექტორების მიხედვით		
		სოფლის მეურნეობა	მრეწველობა	მომსახურება
საქართველო	1.96	55.6%	8.9%	35.5%
სომხეთი	1.19	44.2%	16.8%	39%
აზერბაიჯანი	6.21	38.3%	12.1%	49.6%

სხვა მაჩვენებლები

	ბიუჯეტის მაჩვენებლები (მილიარდი აშშ დოლარი)		ექსპორტ-იმპორტის მაჩვენებლები (მილიარდი აშშ დოლარი)		მოსახლეობა (მილიონი კაცი)	ქალაქის მოსახლეობა (მილიონი კაცი)
	შემოსავალი	ხარჯი	ექსპორტი	იმპორტი		
საქართველო	4.1	4.8	3.32	6.62	4.56	2.41
სომხეთი	2.2	2.53	1.5	3.27	2.97	1.9
აზერბაიჯანი	23.25	25.55	30.58	10.78	9.59	4.98

33.1. (2) რომელი დემოგრაფიული (სქესობრივ-ასაკობრივი) პირამიდა შეესაბამება აზერბაიჯანის და რომელი სომხეთის მოსახლეობის სტრუქტურას?







33.2. (1) ახსენით, რომელ მაჩვენებელზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ საქართველოს ეკონომიკაში სოფლის მეურნეობას უფრო ნაკლები როლი აქვს, ვიდრე სომხეთის ეკონომიკაში?

33.3. (1) ახსენით, რომელ ორ მაჩვენებლებზე დაყრდნობით შეგვიძლია დავადგინოთ, რომ სომხეთის ეკონომიკისთვის სოფლის მეურნეობას უფრო მეტი ეფექტი აქვს, ვიდრე საქართველოს ეკონომიკისთვის?

33.4. (1) მოცემული სახელმწიფოები დაალაგეთ ერთ სულ მოსახლეზე მშპ-ს მოცულობის ზრდის მიხედვით (პატარიდან დიდისკენ).

33.5. (2) რომელ სახელმწიფოშია დასაქმებულთა ყველაზე მაღალი ხვედრითი წილი და რას უტოლდება ეს მაჩვენებელი (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?

33.6. (2) რომელ სახელმწიფოშია ურბანიზაციის უფრო მაღალი დონე და რას უტოლდება ეს მაჩვენებელი (აუცილებლად აჩვენეთ გამოთვლის პროცესი)?

- *ტექსტის ანალიზი*

ინსტრუქცია
ყურადღებით შეისწავლეთ დავალებაში მოცემული ტექსტი და უპასუხეთ კითხვებს. პასუხები ჩაწერეთ პასუხების ფურცელში გამოყოფილ შესაბამის ადგილას. ქულათა რაოდენობა განისაზღვრება კონკრეტული დავალების მიხედვით.

34. (9) გაეცანით ტექსტს და უპასუხეთ კითხვებს:

საქართველოს შავიზღვისპირა ზონის კლიმატი ნოტიო სუბტროპიკულია. მისი სანაპირო ზოლი შავი ზღვის ყველაზე წყნარ რეგიონად ითვლება. მიუხედავად ამისა, დაახლოებით 20 წელიწადში ერთხელ მეორდება გრიგალი (ძლიერი ქარი), რომლის სიჩქარე 47 მ/წმ აღემატება. ეს ქარები ძირითადად ზღვიდან უბერავს და იწვევს ძლიერ ღელვას. გრიგალის დროს წყლის დონემ ნაპირთან შესაძლებელია 0,8 მ-ით აიწიოს, მდინარეების შესართავებში კი — 2-3-ჯერ მეტი იყოს. შავი ზღვის დონის აწევა საქართველოს ტერიტორიაზე განსაკუთრებით საშიშ მასშტაბებს მდ. რიონის შესართავის მიდამოებში აღწევს.

შავი ზღვის სანაპირო ზონაში კარგად არის განვითარებული მეციტრუსეობა. გასული საუკუნის 30-იანი წლებიდან განსაკუთრებით დიდ მოცულობას მიაღწია ჩაის წარმოებამ, რომელიც საქართველოს სოფლის მეურნეობის სპეციალიზაციის დარგად იქცა. ჩაის წარმოება თითქმის მთლიანად აკმაყოფილებდა ყოფილი საბჭოთა კავშირის მოთხოვნას, ხოლო პროდუქციის ნაწილი ექსპორტზეც გადიოდა. დღევანდელი მდგომარეობით ქვეყანაში ციტრუსების წარმოება დაახლოებით 8-ჯერ, ხოლო ჩაის – 20-ჯერ შემცირდა.

მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს სხვა ქვეყნებში ეკონომიკურად უფრო მომგებიანია ფორთოხლისა და ლიმონის წარმოება, საქართველოში ციტრუსოვან კულტურათა შორის ჭარბობს მანდარინი. იგი გამოირჩევა შედარებით მაღალი ყინვაგამძლეობით.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ 2050 წლისათვის შავი ზღვის სანაპირო ზონაში მოსალოდნელია ჰაერის საშ. ტემპერატურის მატება 1,2^0-ით და ნალექების 8-10%-ით შემცირება. მათი აზრით, აღნიშნული ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს საქართველოს შავიზღვისპირეთის სოციალურ და ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

34.1. (1) ახსენით, როგორ იმოქმედებს საქართველოს ამ რეგიონის ტურისტულ-რეკრეაციულ სექტორზე კლიმატური პარამეტრების მოსალოდნელი ცვლილებები?

34.2. (1) ახსენით, რა არის საქართველოში მანდარინთან შედარებით, ფორთოხლისა და ლიმონის წარმოების მცირე მაჩვენებლის მიზეზი?

34.3. (1) რა გავლენა შეიძლება იქონიოს ტემპერატურის მატებამ ციტრუსების წარმოებაზე აღნიშნულ რეგიონში? პასუხი დაასაბუთეთ.

34.4. (1) ახსენით, რატომ იწვევს ძლიერი გრიგალის დროს მდინარის შესართავებში წყლის დონე უფრო მაღლა, ვიდრე სანაპიროზე?

34.5. (1) ახსენით, სავარაუდოდ რა გავლენას მოახდენს ეკოლოგიაზე შავიზღვისპირეთში კლიმატის მოსალოდნელი ცვლილებები?

34.6. (1) ტექსტიდან გამომდინარე, შავი ზღვის დონის აწევის შემთხვევაში უფრო მეტად რომელი ქალაქი დაზარალდება?

34.7. (1) ძირითადად რამ განაპირობა ციტრუსებისა და ჩაის წარმოების შემცირება საქართველოში?

34.8. (2) რომელ რეგიონებს მოიცავს ტექსტში აღწერილი ზონა?

<table>
<tr><th>დავალების #</th><th>გეოგრაფია აბიტურიენტები
პასუხები
I ვარიანტი
მაქსიმალური ქულა -70</th><th>ქულა</th></tr>
<tr><td>1</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>2</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>3</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>4</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>5</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>6</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>7</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>8</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>9</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>10</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>11</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>12</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>13</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>14</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>15</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>16</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>17</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>18</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>19</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>20</td><td>დ</td><td>1</td></tr>
<tr><td>21</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>22</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>23</td><td>ა</td><td>1</td></tr>
<tr><td>24</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>25</td><td><u>შეფასების სქემა:</u>
• 0, 1 ან 2 შესაბამისობის დადგენა - 0 ქულა;
• 3, 4 ან 5 შესაბამისობის დადგენა - 1 ქულა;
• 6 ან 7 შესაბამისობის დადგენა - 2 ქულა.
<table><tr><th>ა.</th><th>ბ.</th><th>გ.</th><th>დ.</th><th>ე.</th><th>ვ.</th><th>ზ.</th></tr><tr><td>1</td><td>2</td><td>4</td><td>3</td><td>1</td><td>4</td><td>1</td></tr></table></td><td>2</td></tr>
<tr><td>26</td><td><table><tr><th>ა.</th><th>ბ.</th><th>გ.</th><th>დ.</th><th>ე.</th><th>ვ.</th><th>ზ.</th></tr><tr><td>1</td><td>3</td><td>4</td><td>1</td><td>3</td><td>2</td><td>4</td></tr></table></td><td>2</td></tr>
</table>

<table>
<tr><th>დავალების #</th><th>გეოგრაფია აბიტურიენტები
პასუხები
I ვარიანტი
მაქსიმალური ქულა -70</th><th>ქულა</th></tr>
<tr><td>27</td><td>
<table>
<tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr>
<tr><td>4</td><td>3</td><td>1</td><td>2</td><td>3</td><td>2</td><td>4</td></tr>
</table>
</td><td>2</td></tr>
<tr><td>28</td><td>
<table>
<tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr>
<tr><td>3</td><td>1</td><td>4</td><td>2</td><td>1</td><td>5</td><td>5</td></tr>
</table>
</td><td>2</td></tr>
<tr><td>29</td><td>
<table>
<tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr>
<tr><td>3</td><td>2</td><td>2</td><td>1</td><td>4</td><td>1</td><td>4</td></tr>
</table>
</td><td>2</td></tr>
<tr><td>30</td><td>
<table>
<tr><td>ა.</td><td>ბ.</td><td>გ.</td><td>დ.</td><td>ე.</td><td>ვ.</td><td>ზ.</td></tr>
<tr><td>2</td><td>1</td><td>3</td><td>1</td><td>4</td><td>2</td><td>3</td></tr>
</table>
</td><td>2</td></tr>
<tr><td>31</td><td>
<u>შეფასების სქემა:</u>

არასწორი პასუხი ფასდება 0 ქულით;
სწორი პასუხი არასწორ პასუხთან ერთად ფასდება 0 ქულით;
თითოეული სწორი პასუხი ფასდება 1 ქულით.

<table>
<tr><td>#</td><td>წრის ნომერი</td></tr>
<tr><td>31.1.</td><td>13</td></tr>
<tr><td>31.2.</td><td>4</td></tr>
<tr><td>31.3.</td><td>3</td></tr>
<tr><td>31.4.</td><td>14</td></tr>
<tr><td>31.5.</td><td>10</td></tr>
<tr><td>31.6.</td><td>2</td></tr>
<tr><td>31.7.</td><td>5</td></tr>
<tr><td>31.8.</td><td>11</td></tr>
<tr><td>31.9.</td><td>7</td></tr>
<tr><td>31.10.</td><td>12</td></tr>
</table>
</td><td>10</td></tr>
<tr><td>32.1</td><td>ბ</td><td>1</td></tr>
<tr><td>32.2</td><td>დ</td><td>1</td></tr>
</table>

დავალების #	გეოგრაფია აბიტურიენტები პასუხები I ვარიანტი მაქსიმალური ქულა -70	ქულა
32.3	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორი პასუხი ან სწორი პასუხი დასაბუთების გარეშე - 0 ქულა; • სწორად დასაბუთებული პასუხი - 1 ქულა.	1
32.4	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური პასუხი - 0 ქულა; • ერთი სწორად დასახელებული მიზეზი - 1 ქულა. დავალების ჯამური ქულაა - 3.	3
33.1.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორად დასახელებული სახელმწიფო - 0 ქულა; • ერთი სწორად დასახელებული სახელმწიფო - 1 ქულა; • ორი სწორად დასახელებული სახელმწიფო - 2 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* • *A დემოგრაფიული პირამიდა შეესაბამება სომხეთს* - 1 ქულა; • *B დემოგრაფიული პირამიდა შეესაბამება აზერბაიჯანს* - 1 ქულა.	2
33.2.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური ახსნა - 0 ქულა; • მართებული ახსნა - 1 ქულა.	1
33.3.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური ახსნა - 0 ქულა; • მართებული ახსნა - 1 ქულა.	1
33.4.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორად ნაჩვენები თანმიმდევრობა - 0 ქულა; • სწორად ნაჩვენები თანმიმდევრობა - 1 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* *საქართველო < სომხეთი < აზერბაიჯანი.*	1
33.5.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორად დასახელებული სახელმწიფო - 0 ქულა; • მხოლოდ სწორად დასახელებული სახელმწიფო - 1 ქულა; • სწორად დასახელებული სახელმწიფო და სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი - 2 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* • *აზერბაიჯანში* - 1 ქულა; • *6,21*100/9.59 = 64,7%* - 1 ქულა.	2

დავალების #	გეოგრაფია აბიტურიენტები პასუხები I ვარიანტი მაქსიმალური ქულა -70	ქულა
33.6.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორად დასახელებული სახელმწიფო - 0 ქულა; • მხოლოდ სწორად დასახელებული სახელმწიფო - 1 ქულა; • სწორად დასახელებული სახელმწიფო და სწორად ნაჩვენები გამოთვლის პროცესი - 2 ქულა. *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* • *სომხეთში* - 1 ქულა; • *1.9*100/2.97 = 63.9%* - 1 ქულა.	2
34.1.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური ახსნა - 0 ქულა; • ადეკვატური ახსნა - 1 ქულა.	1
34.2.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური ახსნა - 0 ქულა; • ადეკვატური ახსნა - 1 ქულა.	1
34.3.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური დასაბუთება - 0 ქულა; • ადეკვატური დასაბუთება - 1 ქულა.	1
34.4.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური ახსნა - 0 ქულა; • ადეკვატური ახსნა, - 1 ქულა.	1
34.5.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არაადეკვატური ახსნა - 0 ქულა; • ადეკვატური ახსნა - 1 ქულა.	1
34.6	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორად დასახელებული ქალაქი - 0 ქულა; • სწორად დასახელებული ქალაქი - 1 ქულა; *<u>სწორი პასუხის ნიმუში:</u>* *ქალაქი ფოთი*	1
34.7.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • არასწორად დასახელებული მიზეზი - 0 ქულა; • სწორად დასახელებული მიზეზი - 1 ქულა.	1

დავალების #	გეოგრაფია აბიტურიენტები პასუხები I ვარიანტი მაქსიმალური ქულა -70	ქულა
34.8.	*<u>შეფასების სქემა:</u>* • პასუხი, რომელიც შეიცავს არასწორად დასახელებულ თუნდაც ერთ რეგიონს - 0 ქულა; • პასუხი, რომელიც შეიცავს სწორად დასახელებულ მხოლოდ ორ ან სამ რეგიონს და არ შეიცავს არასწორ პასუხს - 1 ქულა; • პასუხი, რომელიც შეიცავს სწორად დასახელებულ ოთხ რეგიონს - 2 ქულა.	2